სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცი წლის სამ ნოემბერს მე, ნოტარიუს ლია გოგიას, სანოტარო ბიუროში (მდებარე მისამართზე: ქ.თბილისი, რუსთაველის გამზ. 46) მომმართა **შოთა ზაზაშვილმა,** რომელმაც განაცხადა, რომ არის **შპს „ტერა-2“-ს** (ს/კ405082618) დირექტორი და სურს **შპს „ტერა-2“-ს** სახელით **ლევან ხუხაშვილის** მიმართ მინდობილობის შედგენა და სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **შოთა ზაზაშვილის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამდგენი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **შოთა ზაზაშვილმა** (დაბადებული02.06.1946წ., ადიგენში, პ/#01008014922, პ/მოწ. #13IE67104, გაც. 27.05.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, განცხ. მის: **ქალაქი თბილისი, ბაგების დასახლება, კორპუსი 3, ბინა 56**) მომმართა. მე დავადგინე მისი უფლებამოსილება ამონაწერით, მომზადების თარიღი: 25/09/2020 18:52:48, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B20076769, საიდენტიფიკაციო კოდი: 405082618. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს. მე დავადგინე მინდობილობის შინაარსი და შევადგინე მისი პროექტი. მე, ნოტარიუსმა, წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე **მიმნდობს** და განვუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, აგრეთვე განვუმარტე ის, რომ მარწმუნებელს ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს ეს მინდობილობა. **მიმნდობმა** დაადასტურა, რომ მინდობილობა სრულად გამოხატავს მის ნებას. მან პირადად წაიკითხა და მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მინდობილობა

„მე, **შოთა ზაზაშვილი,** როგორც **შპს „ტერა-2“-ს** (ს/კ405082618) დირექტორი, **ლევან ხუხაშვილს** (დაბადებული25.01.1984წ., თბილისში, პ/#01007011144), ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:
იყოს **შპს „ტერა-2“-ს** წარმომადგენელი და დაიცვას კომპანიის ინტერესები თბილისის მერიაში და მის სამსახურებში, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, შეიტანოს განცხადებები, საჭირო საბუთები, ცნობები, თანხმობები, მიიღოს ნებართვები, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხელი მოაწეროს ჩემი, როგორც **შპს „ტერა-2“-ს** დირექტორის სახელით შესაბამის დოკუმენტებს და აწარმოოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ზემოთმითითებული დავალების შესასრულებლად.
ეს მინდობილობა გაცემულია გადანდობის უფლების გარეშე, ერთი წლის ვადით და ძალაშია 2021 წლის 03 ნოემბრამდე.“
მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ლია გოგიას არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს. მინდობილობის იმ ეგზემპლიარს რომელიც რჩება ნოტარიუსის არქივში თან ერთვის **შპს „ტერა-2“-ს** (ს/კ405082618) ამონაწერი.
გადახდილია სანოტარო საზღაური “სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება #507-ის 31-ე მუხლის თანახმად ათი ლარი, ასევე 39-ე მუხლის თანახმად სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის საფასური ორი ლარი.

შოთა ზაზაშვილი: შოთა ზაზაშვილი

ნოტარიუსი ლია გოგია:

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

69495828415720

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N200895691

რეგისტრაციის თარიღი

03.11.2020 წ

ნოტარიუსი: ლია გოგია
მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 46
ტელეფონი: 2997950

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18